გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 138

2025 წლის 10 ოქტომბერი
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2025 წლის განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილების „გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე საკრებულოს წარუდგენს წლიურ ანგარიშს კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი კომისიის თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია საკრებულოს წინაშე და ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც საკრებულოს წარუდგინოს ანგარიში მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ და წელიწადში ერთხელ მაინც შეადგინოს და გამოაქვეყნოს კომისიის მუშაობის ანგარიში საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული წესით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2025 წლის განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში №1 დანართის (თან ერთვის ერთ ფურცლად) შესაბამისად.

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ. მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, ხეოგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

№1 დანართი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ 2025 წლის იანვრიდან მიმდინარე პერიოდამდე გაწეული საქმიანობის

ანგარიში

მიმდინარე ეტაპზე გორის მუნიციპალიტეტის სამანდატო ,საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია შედგება 14 წევრისაგან . კომისიის თავმჯდომარე - ლეილა მამულაშვილი; კომისიის წევრები: დავით რაზმაძე , მარლენ ნადირაძე , კობა ბერიანიძე , მიხეილ გოგინაშვილი , გიგა გელაშვილი , ნანი ოქროპირიძე , გიორგი შიოშვილი , ივანე ნონიკაშვილი , მამუკა ფანიაშვილი , ბექა ქორჩილავა , ანი ბალიაშვილი , ქეთევან გოგიაშვილი და შალვა სრესელი .

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია აქტიურად აგრძელებს მუშაობას და ასრულებს მისთვის საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულებით დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს, რომლის ფარგლებშიც, სხვა საკითხებთან ერთად 2025 წელს კომისიის მიერ დამტკიცებულ იქნა 4 კვარტალური გეგმა და მოხდა მათში გათვალისწინებული საკითხების შესწავლა.

კომისიის მიერ 2025 წლის იანვრიდან მიმდინარე პერიოდამდე სულ ჩატარდა 11 სხდომა განხილულ იქნა 24 საკითხი,

კომისია პერიოდულად, საკრებულოს კვარტალური გეგმებისა და კომისიის სამუშაო გეგმების შესაბამისად ისმენს გორის მუნიციპალიტეტის მერიის სხვადასხვა სამსახურებისა და განყოფილებების ანგარიშებს, ასევე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ზოგიერთი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ანგარიშებს. განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით ისმენს შესაბამისი საჯარო მოსამსახურეებისა და თანამდებობის პირების განმარტებებსა და მოსაზრებებს.

კომისია საკითხების საკრებულოში წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, მერიის და მისი სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე შესაბამისი მიმართულებით მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით აქტიურად განაგრძობს მასზედ დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებას.